პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 208 (9984) | ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სწავლის დაწყების პირველი დღე (1-ლი გვერდი).

მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს. — რა გვიჩვენა თესვის პირველმა დღეებმა. ხვნაში დაწინაურებულნი. ნაკისრი ვალდებულება გაანაღდეს. საშემოდგომო ხვნა წარმატებით მიმდინარეობს. ენერგიულად მუშაობენ (მე-2 გვერდი).

მ. ჰელიძე. — კოლმეურნეთა შრომის მატერიალური წახალისების ღონისძიებანი (მე-2 გვერდი).

რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — [illegible] წინააღმდეგობათა გამწვავების შესახებ (მე-3 გვერდი).

გ. ზენეკიჩი. — ალკოჰოლიზმი [illegible] მონაშთია (მე-3 გვერდი).

ბორ. რიაბოვი, ივ. კრავჩენკოვი. — ვიეტნამელი ხალხის დღესასწაული (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავძლიოთ ჩამორჩენა წყალთა მეურნეობის მშენებლობაში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დროული და წესიერი მორწყვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მოსავლიანობის გადიდებისათვის. წყლის რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, წყლის დროზე მიწოდება დანიშნულებისამებრ, წყლით სარგებლობის წესების დაცვა აქტუალური საკითხებია, რომელთა წარმატებით გადაჭრაზე დამოკიდებულია მაღალი მოსავლის მოყვანა.

ჩვენს რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობით ფართო მასშტაბით წარმოებს წყალთა მეურნეობის მშენებლობა, ახალი სამშენებლო ობიექტები ჩაყენებულია საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სამსახურში.

ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ დასახეს გადაუდებელი ამოცანა — მოკლე დროში მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, — დიდი მნიშვნელობა აქვს წყალთა მეურნეობის მშენებლობაში მოცემულ დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მიმდინარე წელს წყალთა მეურნეობის სამუშაოები სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინეობს. 1 აგვისტოსათვის შესრულებულია 41.088 ათასი მანეთის სამუშაოები ანუ წლიური გეგმის 35 პროცენტი. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე შესრულებულია 40.783 ათასი მანეთისა ანუ წლიური გეგმის 39,2 პროცენტი, ხოლო კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობითა და საშუალებებით 305 ათასი მანეთისა ანუ წლიური გეგმის 2,3 პროცენტი.

დღემდე არ არის საექსპლოატაციოდ გადაცემული ტაშისკარის სარწყავი სისტემის პირველი რიგი. ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს კაზრეთის სარწყავი არხის მშენებლობა. ჯერ კიდევ ზოგიერთი სახის სამუშაო დაუმთავრებელია კახის, ვანათისა და თეძი-ოკამის სარწყავ სისტემებზე, რის გამო ჩერდება ამ ობიექტების გადაცემა მუდმივი სარგებლობისათვის. ჩაშლილია აგრეთვე მუშაობა ეწრის (თერჯოლის რაიონი) სარწყავი არხის მშენებლობაზე. წლითიწლობით ჭიანურდება წვრილი არხების გაყვანის სამუშაოები ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში.

რით არის გამოწვეული ჩამორჩენა წყალთა მეურნეობის მშენებლობაში? იმით, რომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯეროვნად არ აფასებენ საირიგაციო მშენებლობას, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის რაიონული კომიტეტებისა და რაისაბჭოების აღმასკომების მხრივ არასაკმაო ყურადღების შედეგად ჩაშლილია წყალთა მეურნეობის მშენებლობაში კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობის გეგმის შესრულება. მაგალითად, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის ხაზით ხაშურის რაიონს წლიური გეგმა შესრულებული აქვს 7,3 პროცენტით, ქარელის რაიონს — 8,9 პროცენტით; მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის ხაზით მცხეთის რაიონს წლიური გეგმა განაღდებული აქვს 1,8 პროცენტით. არიან რაიონები, რომლებსაც მიცემული აქვთ წყალთა მეურნეობის მშენებლობაში კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმები, მაგრამ ისინი არ შესდგომიან მუშაობას. ასეთებია გურჯაანის, ზოლნისის, გარდაბნის რაიონები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ფოთი. გეგეჭკორის, სამტრედიისა და აბაშის რაიონები ვალდებული იყვნენ მიმდინარე წლის 1 აპრილამდე დაემთავრებინათ მდინარე ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები. მაგრამ მათ ეს სამუშაოები არ შეუსრულებიათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა 1954 წელს წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმის შესრულების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განუხრელად განხორციელება უზრუნველყოფს ჩამორჩენის სწრაფად გამოსწორებას, წყალთა მეურნეობის მშენებლობის დარგში დასახული პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საოლქო აღმასკომი, პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი წყალთა მეურნეობის მშენებლობათა სამუშაოებს. ისინი მოწოდებული არიან მიიღონ გადამწყვეტი ზომები წყალთა მეურნეობის მშენებლობაში კოლმეურნეობების შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმების შესასრულებლად დაწესებული მოცულობით, წყალთა მეურნეობის ობიექტების მშენებლობაზე უზრუნველყონ მუდმივი ხელფასიანი მუშახელის გაყვანა დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან პარტიის ხაშურის, ქარელის, კასპის, გორის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოს აღმასკომები. მათ არ უნდა დაუშვან ჩამორჩენა, გამოიყენონ ყველა საშუალება წყალთა მეურნეობის მშენებლობის დარგში დასახულ სამუშაოთა სწრაფად დამთავრებისათვის. ამ საქმის გაჭიანურება ზიანს მოუტანს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებას, რაც არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას. ამ რაიონებმა უნდა გვიჩვენონ მანევრირების, შრომითი რესურსების, ყველა რეზერვის სწორად და მთლიანად გამოყენების უნარი.

კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ წყალთა მეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღონ ფულადი სახსრებით. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ჯერ-ერთი, კოლმეურნეობებს შეუმსუბუქებს წყალთა მეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობის გეგმის შესრულებას. მეორე, ამ სამუშაოსაგან განთავისუფლებული მუშახელი გამოიყენებულ იქნება სოფლის მეურნეობის სამუშაოებზე. მესამე, ეს ხელს შეუწყობს სამშენებლო სამუშაოთა დონის ამაღლებას. მიზანშეწონილია ეს ღონისძიება გამოიყენონ გარეუბნის, გარდაბნის და საგარეჯოს რაიონების იმ კოლმეურნეობათა გამგეობებმა, რომლებსაც სარწყავი მიწები აქვთ სამგორის ტერიტორიაზე, და ფულადი სახსრებით მონაწილეობა მიიღონ 1954 წლის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაში.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია გადაჭრით გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სამშენებლო ობიექტებისადმი, ფართოდ დანერგოს სამშენებლო საქმეში მოწინავე მეთოდები, სერიოზული ყურადღება მიაქციოს სამუშაოთა ხარისხს, შრომის სწორად მოწყობას. სამინისტროს ღვიძლი საქმეა სისტემატურად იზრუნოს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენოს მძლავრი ტექნიკა, კერძოდ ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ მიწის სათხრელი მანქანები მაღალი წარმადობით, შეუფერხებლივ მუშაობდნენ.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების, სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ვალია აღკვეთონ მუშათა დენადობა, გააუმჯობესონ მუშების საყოფაცხოვრებო პირობები, კულტურული მომსახურება, ყოველდღიურად იზრუნონ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მათთვის შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნისათვის.

წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმების შესრულება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ამოცანის განხორციელება მოითხოვს წყალთა მეურნეობაში სამშენებლო ობიექტების კარგად და თავის დროზე დამთავრებას, რწყვის სამუშაოთა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე აყვანას. ეს საქმე მოითხოვს ადგილობრივი პარტიული ორგანოების გულმოდგინე ყურადღებას. მათი ამოცანაა ღრმად ჩასწვდნენ სამშენებლო სამუშაოებს, მშენებელთა შორის მაღალ დონეზე დააყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, განუმარტონ მუშებსა და კოლმეურნეებს წყალთა მეურნეობის სამუშაოთა დავალების შესრულების დიდი მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის, წარმართონ წყალთა მეურნეობის მშენებლობის მუშაობა.

მთელი ძალები დავარაზმოთ წყალთა მეურნეობის მშენებლობაში არსებული სერიოზული ჩამორჩენის სწრაფად დაძლევისათვის, მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

ზუგდიდის რაიონმა 30 აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა, სახელმწიფოს ჩაბარა 247 ტონა პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 246 ტონისა.

პარკის დამზადება გრძელდება.

სწავლის დაწყების პირველი დღე

★ ★ ★

პირველი დღის შედეგები

ბათუმი. (საკ. კორ.). პირველ სექტემბერს ქალაქ ბათუმის სკოლების კარები ფართოდ გაიღო სწავლას მოწყურებულ ბედნიერ ბავშვთათვის. საზეიმოდ მორთულ სკოლების შესასვლელებში წითელ არშიებზე ლამაზი ასოებით აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით სკოლებში ყველა პირობა შეუქმნიათ, რათა ჯანსაღი დასვენების შემდეგ მოსწავლეები ახალი ენერგიით შეუდგნენ მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას.

აჭარის სსრ განათლების სამინისტრომ და ქალაქ ბათუმის განათლების განყოფილებამ ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ახალი სასწავლო წლისათვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ და ორგანიზებულად დაიწყეს სწავლა მე-2, მე-3, მე-6, მე-14 ქართულმა და მე-3 რუსულმა საშუალო სკოლებმა. მე-6 საშუალო სკოლის პედკოლექტივმა (დირექტორი გ. ლორთქიფანიძე) დროულად და ზუსტად დააკომპლექტა კლასები, სხვა სკოლებიდან გადმოსულ ბავშვთა პირადი საქმეები წესრიგშია მოყვანილი. 31 აგვისტოს აქ მოეწყო სკოლის მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის შეკრება; ამ შეკრებაზე საბოლოოდ დაზუსტდა კლასების შემადგენლობა, მოსწავლეებს გააცნეს სასწავლო ცხრილი და შინაგანაწესი.

მთელ რიგ სკოლებში მოეწყო პირველ კლასელებთან საზეიმო შეხვედრა.

სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო

თელავი. (საკ. კორ.). გუშინ ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა ქალაქმა. მოსწავლეები ჟივილ-ხივილით მიეშურებოდნენ სკოლებისაკენ. ქალაქის ცენტრში აგებული ორსართულიანი სკოლის ეზოში დილის 8 საათზე 500-ზე მეტმა ბავშვმა მოიყარა თავი. განსაკუთრებული ყურადღება პირველკლასელებს დაეთმოთ. პატარა სტუმრებს მასწავლებლები მშობლიური საყვარულით შეეგებნენ.

მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. მდივნიშვილმა მოწაფეებს გულთბილად მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება და უსურვა ფრიადზე სწავლა. ზარი დაირეკა. მოსწავლეები საკლასო ოთახებისაკენ გაეშურნენ. მასწავლებლები მ. სარაჯიშვილი და მ. პაატაშვილი პირველკლასელებს ესაუბრნენ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ სკოლაში, ოჯახში და გარეთ.

ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო თელავის რუსულ, წინანდლის, ნაფარეულისა და სხვა საშუალო სკოლებში.

ჩვენი ამოცანები

ჩვენი სკოლა დროულად მოემზადა ახალი სასწავლო წლის შესახვედრად. მიმდინარე რემონტი ჯერ კიდევ 10 აგვისტოსათვის ძირითადად დამთავრებული იყო. წელს სკოლამ დამატებით მიიღო არსებულ შენობაზე ახლად მიშენებული სამსართულიანი კორპუსი 10 საკლასო ოთახით, რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის კეთილმოწყობილი კაბინეტები.

ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად სკოლამ დიდი მუშაობა გასწია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სწავლა ორგანიზებულად დაგვიწყო.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანებია დასმული: უნდა უზრუნველვყოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება საშუალო სკოლის ფარგლებში, გარდავქმნათ სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობა ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით და პრაქტიკული მუშაობისათვის მოვამზადოთ ჩვენი სკოლის მოსწავლეები პოლიტექნიკური სწავლების თანდათანობით განხორციელების გზით.

ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ამჟამად ერთსულოვნად მუშაობს იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას მისცეს მტკიცე ცოდნა, დადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს მოსწავლეთა მეორეწლიანობის წინააღმდეგ, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით განამტკიცოს ჯანსაღი, მეგობრული დამოკიდებულება მოსწავლე გოგონებსა და ვაჟებს შორის, შექმნას მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივი.

ა. მჭედლიძე,
თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

როგორ შევხვდით ახალ სასწავლო წელს

ჩვენმა სკოლამ ახალი სასწავლო წელი მომზადებულად დაიწყო. პირველ სექტემბერს ყველა მასწავლებელს შედგენილი ჰქონდა წლიური, კალენდარული, თემატიკური და გაკვეთილის გეგმები. პირველი გაკვეთილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის საქმიანი დამოკიდებულებით დაიწყო. ახალი მასალა აიხსნა ყველა კლასში.

პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო თვალსაჩინო მასალები პირველ დღეს კარგად გამოიყენეს ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლმა ნ. ტუხაშვილმა, თ. სანაძემ, გ. ტაბიძემ.

პირველი დღის შედეგები გვიჩვენებს, რომ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება უდავოდ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა შორის მეგობრული ურთიერთობის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას და მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მოპოვებას.

მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ენერგიული შრომით გაამართლებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის იმედს და კარგი მაჩვენებლებით დაამთავრებენ სასწავლო წელს.

თამარ ქიშმარია,
თბილისის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორი.

მეტალურგთა ქალაქის სიხარული

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ დილით ზარის წკრიალმა მეტალურგთა ქალაქის ათასობით მოსწავლეს ამცნო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

№ 1 საშუალო სკოლა. მოსწავლეთა საზეიმო განწყობილება აქ განსაკუთრებით იგრძნობა. ამ სკოლას — მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის თანატოლს — დღეს შეუსრულდა არსებობის 10 წელი. ვინ მოთვლის, რამდენი საამაყო ადამიანი აღზარდა მან.

სკოლის დირექტორმა შ. რეხვიაშვილმა სწავლის დაწყების წინ მოსწავლეებს წაუკითხა ახლად მიღებული დებულები. ერთ-ერთ დებულებაში ნათქვამია: „ფულოცავთ მშობლიურ სკოლას მეათე წლისთავს. ვუსურვებთ მის კოლექტივს შემდგომ წარმატებებს. მოსკოველი სტუდენტები“.

სკოლის მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ ამ დებულების თანაავტორები არიან ს. ჩერნოვი და ლ. იაცენკო, რომლებმაც გასულ სასწავლო წელს ოქროს medlით დაამთავრეს რუსთავის № 1 საშუალო სკოლა და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ.

სწავლის დაწყების პირველ დღეს მრავალ მოსწავლეს მშობლებიც მოჰყვნენ თან. აი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს ცვლის ოსტატი ი. ოლხოვიკი. მან ორი შვილი მიიყვანა სკოლაში — ანატოლი და მიხეილი. ანატოლი მესამე კლასში განაგრძობს სწავლას, მიხეილი კი მეხუთეში.

განა მარტო შვილები — მამაც სწავლობს. ივანემ გასულ სასწავლო წელს დაამთავრა რუსთავის მუშახალგაზრდობის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება ინჟინრის პროფესიას.

მამა და შვილები ერთმანეთს ეჯიბრებიან საუკეთესოდ სწავლაში.



ეს ბავშვები პირველად დასხდნენ საკლასო მიუძღვებათ წინ ლამპარივით. ჩვენი ნორჩი ალმა მიდის — მწვერვალისაკენ, და იქ ასვლა რათა დაადგნენ ამ გზას. ისინი დედებმა დედა — დიადი სოციალისტური სამშობლო.

კეთილი იყოს თქვენი ამ დიდ გზაზე მერხზე. მათ წინაშე გადაშლილია ცხოვრების დიდი გზის დასაწყისი. მათ ჯერ „დედა ენა“ თაობის გზა მზისსხივდაფრქვეულია, მაგრამ სიძნელეებისაგან თავისუფალი როდია, გზა არც ისე იოლია. ეს მწვერვალია ცოდნა, მეცნიერება. და აი მოვიდნენ ბედნიერი ბავშვები, მოაცილეს, მაგრამ მთელი ამ გზის მანძილზე გზის მაჩვენებლად მათ ჰყავთ მზრუნველი დადგომა, ბავშვებო! სურათზე: თბილისის 51-ე საშუალო სკოლის პირველკლასელები.

დაღისტნის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

დაღისტნის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურებისა და სახელმწიფო შესყიდვის წესით პურის გაყიდვის გეგმები. სახელმწიფოს ჩაბარდა ერთიორად მეტი პური, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავიანთი თავი უზრუნველყვეს თესლით საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის, და მარცვლეულს ინახავენ საფურაჟე და სადაზღვეო ფონდებში.

კოლმეურნეობები განაგრძობენ პურის გაყიდვას სახელმწიფო შესყიდვის წესით და კოლმეურნეებს მარცვლეულს აძლევენ შრომადღეებზე.

ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაძაბული მუშაობა წარმოებს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების დამთავრებისათვის, საშემოდგომო თესვის, მზრალად ხვნისა და მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების დროზე განხორციელებისათვის.

ფართოვდება სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაფართოების შესახებ. მას საფუძვლად უნდა დაედოს სამყაროს აღნაგობისა და ბუნების მოვლენათა კანონზომიერების, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის, ადამიანის წარმოშობის და სხვა საკითხთა პოპულარული ახსნა-განმარტება მეცნიერული პოზიციებიდან. დამტკიცებულია ლექციების სანიმუშო თემატიკა.

დასახულია აგრეთვე სამეცნიერო-ათეისტურ საკითხებზე და ბუნებისმეტყველებაში საჯარო ლექციების ციკლის გეგმა. ლექციები გაიმართება 1954 წლის ოქტომბრიდან 1955 წლის მარტამდე მოსკოვში საზოგადოების ცენტრალურ ლექტორიუმში. ამ ლექციებს წაიკითხავენ გამოჩენილი მეცნიერები.

წელს გადაწყვეტილია გამოიცეს სამეცნიერო-ათეისტურ საკითხებზე ლექციების 12 ბროშურა-სტენოგრამა. (საკდესი).

მოსკოვის ახალი სკოლები

სასწავლო წლის დამდეგისათვის მოსკოველმა მოსწავლეებმა მიიღეს კარგი საჩუქარი — თვრამეტი ახალი სკოლა. ლამაზი ხუთსართულიანი სასკოლო შენობები, სადაც დღეს მეცადინეობა დაიწყება, აგებულია დედაქალაქის ლენინის, ედანოვის, პროლეტარსკის, ტიმირიაზევის, სოკოლნიკისა და სხვა რაიონებში.

ყველა სკოლა აგებულია ტიპური პროექტებით, ქარხანაში დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების ფართო გამოყენებით. თვითეული სკოლა გათვალისწინებულია 880 მოსწავლისათვის. შენობაში არის 22 ვრცელი საკლასო ოთახი, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კარგად მოწყობილი კაბინეტები. საქტო და ფიზკულტურის დარბაზები, ბიბლიოთეკა წიგნთსაცავით, ბუფეტი და სხვა ოთახები.

წლის დამლევამდე მოსკოვში. განზრახულია შენდეს კიდევ 24 სასკოლო შენობა. (საკდესი).

ნ. ა. შჩორსის ხსოვნისათვის

ჩერნიგოვი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს სრულდება სამოქალაქო ომის გმირის ნ. ა. შჩორსის დაღუპვის 35-ე წლისთავი. ოლქის მშრომელები დიდ პატივს სცემენ თავიანთი სახელოვანი თანასოფლელის ხსოვნას. აქ მის შესახებ იმართება ლექციები, საუბრები, ეწყობა გამოფენები, შეხვედრები ყოფილ შჩორსელებთან.

ოლქში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც დაკავშირებულია შჩორსის სახელთან. ჩერნიგოვის ოლქის ქალაქებსა და სოფლებზე გადიოდა ბოგუნისა და ტარაშჩის პოლკების გზა კიევისაკენ. მხედართმთავრის სამშობლოში — შჩორსში აგებულია მისი ძეგლი, შექმნილია მუზეუმი.

მუზეუმის მასალები მოგვითხრობენ შჩორსის საბრძოლო ლაშქრობაზე, ლენინთან შეხვედრაზე, დიდი სამამული ომის წლებში შჩორსის დივიზიის გმირობაზე. ამას წინათ აქ გაიხსნა გამოფენა „შჩორსის სამშობლო დღეს“. იგი ასახავს შჩორსის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის ზრდას. რკინიგზის დიდ კვანძად გადაიქცა ყოფილი დაბა სნოვსკი — ახლა შჩორსი, სადაც მემანქანის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა რევოლუციის მამაცი მებრძოლი.

მჯიდრეთ საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს

რა გვიჩვენა თესვის პირველმა დღეებმა

მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეს გაშლილ საკოლმეურნეო მინდვრებზე შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მექანიზატორები და კოლმეურნეები შეუდგნენ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრას.

გორის რაიონის სოფელ შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომო ხვნა-თესვა მიმდინარეობს. ენერგიულად შრომობენ მტს-ის № 1 სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორები. 205 ჰექტარიდან საშემოდგომოდ მოხნულია 178 ჰექტარი. სწრაფად წარმოებს თესვაც. მუშაობაში დაწინაურდა ახალგაზრდა ტრაქტორისტი კ. ბეჟანიშვილი. ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარის ნაცვლად 14-15 ჰექტარს თესავს. მოწინავე ტრაქტორისტმა საშემოდგომო ხორბალი უკვე 134 ჰექტარზე დათესა.

— თესვის მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის, — ამბობს ტრაქტორისტი კ. ბეჟანიშვილი, — სოციალისტურ შეჯიბრებაში ვარ ჩაბმული სოფელ საქაშათის კოლმეურნეობაში მომუშავე ტრაქტორისტ თენგიზ ასანიძესთან. მაგრამ არ ვიცი, რას აკეთებს ჩემი „მეტოქე“. მისი მუშაობის ამბავი ჩემთან არავის მოაქვს. ალბათ ასეთსავე სამდურავს იტყვის თენგიზიც. მტს-ის დირექცია, პარტბიურო ყოველდღიურად თუ არა, ხუთ დღეში ერთხელ მაინც უნდა აჯამებდნენ და გვაცნობდნენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

ხორბლის თესვაში დაწინაურდა აგრეთვე ტრაქტორისტი ამირან ბეშკენაშვილი, რომელმაც 80 ჰექტარზე მეტი დათესა.

— წელს ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს შინდისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლ. აღაჯანაშვილი, — ხუთას ოთხმოცი ჰექტარიდან შემოდგომის ხორბალს ოთხას ჰექტარზე მეტ ლამიან მიწებში თესავს. ამ მიწების ადრე და მაღალხარისხოვნად დათესვაზე ბევრად არის დამოკიდებული მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღების ბედი. უკვე დათესილია 260 ჰექტარამდე ასეთი მიწა.

ლამიან მიწებში საშემოდგომო თესვას შეუდგნენ აგრეთვე ნიქოზის, საქაშათის, ფხვენისის, ვარიანის კოლმეურნეობებში. მაგრამ თესვის ტემპი ყველგან როდია მაღალი. სოფელ ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ორ დღეში მხოლოდ 10 ჰექტარი დაითესა. სათესი მანქანა, რომელიც შ. კვინიკაძის ტრაქტორს უბია, უხარისხოდ შეკეთების გამო ხშირად ფერხდება მუშაობაში. 25 აგვისტოს მანქანის უწესივრობის გამო არ ხდებოდა თესლის ნორმალური რაოდენობით ჩათესვა.

როგორც წესი, თესვის წინ ანეულად მოხნული ლამიანი მიწა წინასწარ უნდა მოირწყას, შემდეგ აიოშოს და დათესოს. მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევს სოფელ საქაშათის კოლმეურნეობის გამგრობა (თავმჯდომარე ყ. ქარქიშვილი). რწყვაზე აქ ყოველდღიურად 4-5 კოლმეურნის მეტი არ მუშაობს. ამიტომ სატრაქტორო ბრიგადას არ ჰყოფნის სამუშაო ფრონტი და არის ტრაქტორისტთა მოცდენის შემთხვევები.

თესვის პირველ დღეებში გამოვლენილი ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს. შინდისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა და პარტიის გორის რაიკომის ამ მტს-ის ზონის ინსტრუქტორთა ჯგუფმა ყველა ზომა უნდა მიიღონ შემოდგომის ხორბლის თესვის სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ნაკისრი ვალდებულება გაანაღდეს

ბადიაურის მტს-ის მექანიზატორებიდან საშემოდგომო ხვნაში დაწინაურდნენ № 7 სატრაქტორო ბრიგადის (ბრიგადირი შ. ფილაური) ტრაქტორისტები, რომლებიც სოფელ კაკაბეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურებიან. 29 აგვისტოსათვის მათ მოხნეს 450 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 425 ჰექტარისა. ამ წარმატებისათვის ბრიგადას მტს-ის გარდამავალი დროშა გადაეცა. ტრაქტორისტებმა ვ. თეთრაძემ და ყ. ჯიმშელაძემ ხვნის გეგმები 150-160 პროცენტით შეასრულეს, მთელი ფართობი მოხნეს წინასახნისიანი გუთნებით 28-30 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ხვნის გეგმა შეასრულა აგრეთვე № 1 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ჭამიაშვილი) სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

მტს-ის მექანიზატორებმა წელს საშემოდგომოდ უნდა მოხნან 5.340 ჰექტარი, 29 აგვისტოსათვის მოხნეს 4.700 ჰექტარი. მათ პირობა დადეს, რომ საშემოდგომო ხვნის გეგმას 3 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულებენ.

(„კომუნისტის“ კორ.).

საშემოდგომო ხვნა წარმატებით მიმდინარეობს

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა. გეგმით გათვალისწინებული 1.350 ჰექტარიდან უკვე მოხნულია 1.300 ჰექტარი. ხვნაში განსაკუთრებით ისახელა თავი ალაზნის მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც მიხეილ ლაზარიაშვილი ხელმძღვანელობს, მან საშემოდგომოდ 450 ჰექტარის ნაცვლად უკვე მოხნა 500 ჰექტარი.

ალ. ჭუჭულაშვილი.

ენერგიულად მუშაობენ

ხაშურის მტს-ის № 1 სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. ქალიაშვილი) ქვიშხეთის, სავანისუბნისა და ტაშისკრის კოლმეურნეობებს უწევს მომსახურებას. მექანიზატორები ენერგიულად მუშაობენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.366 ჰექტარიდან 8 თვეში დაამუშავეს 2.000 ჰექტარი და გასწრეს საწვავის 2 პროცენტის ეკონომია. წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო და მზრალად ხვნა. დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ გეგმებს ტრაქტორისტები გ. ქველაძე და თ. მურჯიანელი. ამ ბრიგადის მექანიზატორებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავთ № 7 სატრაქტორო ბრიგადა.

მტს-ი თესვას 5 სექტემბრიდან შეუდგება.

(„კომუნისტის“ კორ.).



გორი. ბამბეულის კომბინატის ახალი ძაფსაგრეხი საამქროს ხედი. აქ ამზადებენ ბატისტის, სატინის და სხვა სათეთრეულე ქსოვილების საქსოვ ძაფებს.

ფოტო შ. კუკულავასი.

რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). შედგა ქალაქ ჭიათურის პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელმაც განიხილა წელს გაწეული მუშაობის შედეგები და მარგანეცის მრეწველობის რეზერვების უკეთ გამოყენების საკითხი, რაზეც მოსმენილ იქნა მარგანეცის ტრესტის მმართველის შ. შეყლაშვილის მოხსენება.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა რამდენიმე წელია გადაჭარბებით ასრულებს მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმებს. მაღაროელები მაღალნაყოფიერად მუშაობენ მიმდინარე სამეურნეო წელსაც. გადაჭარბებით სრულდება გეგმები, იზრდება შრომის ნაყოფიერება, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება. მადნის რეალიზაციით მიღებულია ორ მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ მარგანეცის მრეწველობას დიდძალი გამოუყენებელი რეზერვები აქვს. ყველა მაღარო, მადნის გამაუხვებელი ფაბრიკა, უბანი და ცალა როდი მუშაობს რიტმულად, შეწყობილად, რენტაბელურად. სტალინისა და ვორიშილოვის სახელობის მაღაროებში მაქსიმალურად ვერ იყენებენ შინა საწარმოო რეზერვებს, ამის შედეგად ვერ ასრულებენ გეგმებს, ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას, ზრდიან პროდუქციის თვითღირებულებას.

მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებისათვის, სუსტად ეხმარებიან რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი შ. პაქსაშვილი, სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორი ლ. გოშხოთელიანი, კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანი მ. გორგაძე და სხვ.

კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები ადგილობრივი რეზერვების უკეთესად გამოყენებისათვის.

ამუშავდა ქუთაისის ლუდის ქარხანა

ქუთაისი. („კომ.“ კორ.). რამდენიმე დღის წინათ ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქუთაისის მრავალრიცხოვან საწარმოებს შეემატა კიდევ ერთი ახალი საწარმო — ამუშავდა ქუთაისის ლუდის ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად მოგვცემს 10 მილიონამდე ლიტრ ლუდს. ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელს უკვე გადაეცა სარეალიზაციოდ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია.

ლუდის ქარხანა აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკური დანადგარებით და მოწყობილობით. აქ ლუდის გამოხდის ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებულია.

ქარხნის კოლექტივს ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვას. დაწყებულია მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება სახელმწიფო დავალებათა გადამეტებით შესრულებისა და პროდუქციის საუკეთესო ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

ქარხანას ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლებმაც გამოცდილების შეძენის მიზნით წინასწარი მომზადება თბილისის ლუდის ქარხნებში გაიარეს.

ქლუხორის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ქლუხორი. (საკ. კორ.). ქლუხორის ქალაქის ლენინის სახელობის ტარტიული-ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების და ქლუხორის რაიონის ამოცანების შესახებ“ გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ჩხეტიანმა.

მომხსენებელმა აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმ ამოცანებზე, რომლებიც რაიონის მშრომელთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დასახა. კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის საკვების დასილოსება და თივის დამზადება. ამ საქმეში კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევს მტს-ი.

აქტივის კრებაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც სოფლების ზედაკის, ტებერდის და ბარის კოლმეურნეობებში თივის დამზადებისა და საკვების დასილოსების საქმეში არის.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ ტებერდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჩაგელიშვილი, პარტიის ქლუხორის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ს. ჩოფლანი და სხვები. აქტივის კრებამ საკვების დასილოსების, თივის დამზადების, მოსავლის აღების, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმის შესრულებისათვის მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი.

ვ. გვალია.

რაიონული გაზეთის რედაქციის ანგარიში რაიკომის პლენუმზე

სიღნაღი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ რედაქტორის ამხ. ა. ზურაშვილის მოხსენება. პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში რედაქცია უკეთ აშუქებს რაიონის მშრომელთა ცხოვრებას. მაგრამ გაზეთის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. იგი ცოტას წერს კოლმეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე.

რედაქცია სუსტად იბრძვის გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისა და შენიშვნების ქმედითობისათვის. ამ მხრივ მას ნაკლებ დახმარებას უწევს პარტიის რაიონული კომიტეტი.

რაიკომის პლენუმმა გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად მიიღო კონკრეტული დადგენილება.

• • •

რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაობის საკითხი განიხილეს აგრეთვე პარტიის **ტყიბულის** რაიკომის პლენუმმა და **გორის** და **გეგეჭკორის** რაიკომების ბიუროებმა.

ხვნაში დაწინაურებული

გარდაბნის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვისწინა სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს.

მტს-ის მექანიზატორები განსაკუთრებით დაწინაურდნენ საშემოდგომო ხვნაში. აქ სრული დატვირთვით იყენებენ ტექნიკას. ხვნაზე მოუცდენლად მუშაობს 17 ტრაქტორი. პირველ აგვისტომდე მექანიზატორებმა 840 ჰექტარი მოხნეს და იქ დათესეს სანაწვერალო კულტურები, რითაც საფუძველი ჩაუყარეს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

მტს-ის მექანიზატორებმა საშემოდგომო კულტურების დასათესად გეგმით 2.710 ჰექტარი უნდა მოხნან. აგვისტოს პირველ 2 დეკადაში უკვე მოხნულია 2.000-მდე ჰექტარი.

საშემოდგომო ხვნის სამუშაოებში ყველაზე მეტად ისახელა თავი № 6 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი ტრაქტორისტი ა. ნასიბოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადის მექანიზატორები ყოველდღიურად 22 ჰექტარს ხნავენ. აგვისტოს 20 დღეში მათ 3 ტრაქტორით 440 ჰექტარი მოხნეს. ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტმა მ. ისმაილოვმა „დტ-54“ მარკის ტრაქტორით უკვე მოხნა 71 ჰექტარი.

ასევე მაღალნაყოფიერად შრომობენ ტრაქტორისტები ყ. ალიევი, ნ. იუსუბოვი, ა. ახმედოვი და სხვები. თვითეული მათგანი ყოველდღიურად 7-8 ჰექტარს ხნავს ნაცვლად გათვალისწინებული 5,3 ჰექტარისა.

მექანიზატორთა ვალდებულებაა საშემოდგომო ხვნის გეგმა მთლიანად შეასრულონ 5 სექტემბრისათვის, ე. ი. 20 დღით ადრე.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს პურისა და ქერის თესლი. ამჟამად მიმდინარეობს თესლის კონდიციამდე აყვანა.

მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს თავთავიანი კულტურები დათესონ მხოლოდ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კოლმეურნეთა შრომის მატერიალური წახალისების ღონისძიებანი

კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შრომის მატერიალური დაინტერესების პრინციპის შემოღება უდიდეს როლს ასრულებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნორმების შემცირება, დამზადებისა და შესყიდვის ფასების გადიდება, კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების სავალდებულო ჩაბარების შემცირება და ამ კულტურების სახელმწიფო შესყიდვის გადიდება შესყიდვის გადიდებული ფასებით, მტს-ების ზონების მიხედვით ახალი მტკიცე დიფერენცირებული ნატურანაზღაურების ნორმების შემოღება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მატერიალური წახალისების უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებია. ამ ღონისძიებებს ემატება შრომადღეების მიხედვით კოლმეურნეებზე ავანსების რეგულარულად გაცემა და წახალისების სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებითა და შემოსავლიანობის გადიდებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის შემოღება გამოხატულებას პოულობს შრომადღეებში, როგორც შრომისა და მოხმარების საზომ ერთეულში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გეგმური დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის შრომადღეების დამატებით დარიცხვაში, შრომის დამატებითს ანაზღაურებაში, კოლმეურნეებზე ავანსების გაცემის სისტემაში და წახალისების სხვა ღონისძიებებში.

კოლმეურნეთა შრომის მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებას უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ეს ღონისძიებები საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად ტარდება. რადგან მათს განხორციელებას არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მტს-ების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობების გამგეობები და საანგარიშო დარგის მუშაკები.

კოლმეურნეებზე ავანსების გაცემის ძირითადი პრინციპები მოცემულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში (16 მუხლი). ამ პრინციპებმა თავისი შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია ჰპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებებში, იმ ახალი უდიდესი ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშეა დასმული.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებითა და მისი შემოსავლიანობის გადიდებით კოლმეურნეთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით რჩევა აქვთ მიცემული კოლმეურნეობებს კოლმეურნეთა საერთო კრების შეხედულებისამებრ კოლმეურნეებს ავანსად აძლიონ პირუტყვის და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული ფულადი სახსრების დაახლოებით 25 პროცენტი. კოლმეურნეებს აღნიშნული ფულადი ავანსი მიეცეთ ყოველკვარტალურად 15 პროცენტამდე ოდენობით გასულ კვარტალში საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებულ ყველა შრომადღეზე და, გარდა ამისა, 10 პროცენტამდე იმ შრომადღეებზე, რომლებიც გამომუშავებულია მეცხოველეობაში და საკვების მოპოვებაში. ამასთან დაწესებულია, რომ კოლმეურნის მიერ მეცხოველეობასა და საკვების მოპოვებაში გამომუშავებულ შრომადღეებზე მიღებული ფულადი ავანსი ფულადი შემოსავლის საბოლოო განაწილებისას არ მცირდება.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებით კოლმეურნეთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით კოლმეურნეობებს რჩევა აქვთ მიცემული იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, საერთო კრებების გადაწყვეტილებით ავანსად მისცენ კოლმეურნეებს კარტოფილისა და ბოსტნეულის რეალიზაციით შემოსული ფულადი სახსრების 25 პროცენტამდე. კოლმეურნეებისათვის აღნიშნული ავანსის მიცემა უნდა წარმოებდეს ყოველთვიურად 15-მდე პროცენტის ოდენობით ყველა შრომადღეზე, რაც გამომუშავებულია საზოგადოებრივ მეურნეობაში წლის დამდეგიდან, და 10 პროცენტამდე იმ შრომადღეებზე, რაც გამომუშავებულია მებოსტნეობაში და მეკარტოფილეობაში, ამასთან დაწესებულია, რომ ავანსი ფულადი სახსრების საბოლოო განაწილებისას არ მცირდება.

სახელმწიფო ბანკს დავალებული აქვს კოლმეურნეობათა მოთხოვნით ჩარიცხოს კოლმეურნეობების მიერ მეცხოველეობისა და მეფრინველეობისაგან, მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობისაგან მიღებული მთელი ფულადი შემოსავლის 25 პროცენტამდე განსაკუთრებულ ანგარიშზე, საიდანაც კოლმეურნეობებს შეუძლიათ ფული დაბარჯონ მხოლოდ შრომადღეებზე გასანაწილებლად, ზემოთ მოცემული წესის მიხედვით.

1953 წელს მეცხოველეობაში, მებოსტნეობაში და მეკარტოფილეობაში მომუშავე კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ეს ღონისძიებები გატარებული არ არის ყველა კოლმეურნეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წელსაც მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გატარების საქმე თვითდინებაზეა მიდებული, რის გამო იგი სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებს აღნიშნული განსაკუთრებული ანგარიშები გახსნილი აქვთ, მაგრამ მეცხოველეობიდან, მეკარტოფილეობიდან და მებოსტნეობიდან მიღებული მთელი ფულადი შემოსავლის დაახლოებით 25 პროცენტი არ გადაურიცხავთ.

ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობის მიერ განსაკუთრებულ მიდებინარე ანგარიშზე გადარიცხულია იმაზე ნაკლები თანხები, ვიდრე ეს დადგენილია კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ. ბევრ კოლმეურნეობაში ბაზარზე პირუტყვისა და მეცხოველეობის პროდუქციის გაყიდვით მიღებულ ფულად სახსრებს ხარჯავენ ბანკის გარეშე და არ აწარმოებენ კოლმეურნეებზე ავანსების გასაცემად თანხების გადარიცხვას.

ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა არადანიშნულებისამებრ ხარჯავს განსაკუთრებულ ანგარიშზე გადარიცხულ თანხებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მეცხოველეობაში და საკვებმოპოვებაში გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად ანაწილებენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე გასულ კვარტალში საზოგადოებრივ მეურნეობაში გამომუშავებულ ყველა შრომადღეზე უნდა გაიცეს. სხვა შემთხვევებში კოლმეურნეებს ავანსები ეძლევათ მხოლოდ მეცხოველეობაში და საკვებმოპოვებაში გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხოლო ყველა შრომადღეზე, რომელიც გამომუშავებულია საზოგადოებრივ მეურნეობაში, კოლმეურნეებს ფულად ავანსს არ აძლევენ.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში კოლმეურნეებზე ავანსად გასაცემი სახსრების განაწილება ხდება გასულ კვარტალში გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით კოლმეურნეობებს რჩევა აქვთ მიცემული თივის აღებისა და ნამჯის შეგროვების პერიოდში აძლიონ კოლმეურნეებს, მანქანა-ტრაქტორთა, მეცხოველეობის სამანქანო და სხვა სპეციალიზებული სადგურების სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს ავანსი თივის აღებასა და ნამჯის დამზადებაზე გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით იმ თივისა და ნამჯის საერთო რაოდენობის 10 პროცენტამდე, რომელიც დამზადდა, შემოსავალში გატარდა და მიღებულია კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, ხოლო ბუნებრივ სათიბთა მეორე განათიბზე — 20 პროცენტი; კოლმეურნეობებში, რომლებმაც შეასრულეს თივის დამზადების გეგმა, შრომადღეებზე გასცენ გეგმის გადამეტებით დამზადებული თივის 30 პროცენტი. გარდა ამისა, საკვების დამზადების პერიოდში ყველა კოლმეურნეს მიეცეს ავანსი წლის დამდეგიდან გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით დამზადებული თივის საერთო რაოდენობის 5 პროცენტამდე და დამზადებული და დაზვინული ნამჯის 10 პროცენტამდე. შრომადღეების მიხედვით საკვების საბოლოო განაწილება აწარმოონ საკვების დამზადების დამთავრების, სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმის შესრულებისა და საკვებით საზოგადოებრივი პირუტყვის უზრუნველყოფის შემდეგ.

საკვების დასილოსებაზე მომუშავე კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის რჩევა აქვთ მიცემული კოლმეურნეობებს საკვების დასილოსებაზე გამომუშავების ნორმის ზევით შესრულებულ სამუშაოში კოლმეურნეებს შრომადღეები დაურიცხონ ორმაგი ოდენობით; გამოჰყონ საკვების მოყვანასა და დამზადებაზე გამომუშავებულ შრომადღეებზე გასანაწილებლად დამზადებული წვნიანი საკვების 10 პროცენტამდე.

კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განუხრელებლობა უარყოფით გავლენას ახდენს მტკიცე საკვები ბაზის შექმნის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე, აჭიანურებს თივის აღებას და ნამჯის დამზადების სამუშაოთა დამთავრებას. მეცხოველეობაში, მეკარტოფილეობაში, მებოსტნეობაში, აგრეთვე საკვები ბაზის შექმნისათვის თივის და ნამჯის აღების სამუშაოებზე მომუშავე კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დამახინჯებები იმის შედეგია, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისაგან ჯერ კიდევ განზე დგანან და მას სათანადოდ არ აფასებენ მთელი რიგი მტს-ებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობების გამგეობები და სარევიზიო კომისიები. მატერიალური დაინტერესების ღონისძიებებს ნაკლებად იცნობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები, ბუღალტრები და თვით კოლმეურნეები. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ კოლმეურნეებზე ავანსების გაცემის დაგვიანება ან შეჩერება ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს, მთელ სახალხო მეურნეობას, აფერხებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის კოლმეურნე გლეხობის, მექანიზატორების ენერგიულ შრომას, რადგან, როგორც მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ყველა ღონისძიების სწორად განხორციელება უდიდეს ზეგავლენას ახდენს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობაზე.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების სპეციალისტების გადაუდებელი ამოცანაა შეისწავლონ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა და სისტემატურად პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობების გამგეობებს არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებაში და უზრუნველყონ წამახალისებელ ღონისძიებათა ყველა კოლმეურნეობაში განუხრელად განხორციელება.

მ. ჭელიძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

წერილები რედაქციას

საჭიროა ლიტერატურა რადიოზე

ყოველწლიურად დიდი სამუშაოები სრულდება ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიკაციის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში რადიოწერტილები უნდა დაიდგას 15.000 კოლმეურნის ოჯახში. აქედან ცხადია საერთოდ რადიოტექნიკისა და კერძოდ, რადიოს უკანასკნელი მიღწევებისადმი რადიოს მოყვარულთა დიდი ინტერესი.

მიუხედავად ამისა, რომ არსებობს ზემდგომი ორგანოების სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ ჯერ კიდევ 1953 წლის განმავლობაში უნდა გამოეცა ქართულ ენაზე 5 სახელწოდების მასობრივ პოპულარული ბროშურა რადიოტექნიკის საკითხებზე, დღემდე გამომცემლობას არც ერთი ბროშურა არ გამოუშვია. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ერთი შრომისა (კონტრაკაძე — „რადიოტექნიკის ელემენტები“, 1950 წ.) და რამდენიმე უმნიშვნელო ბროშურისა, ქართულ ენაზე რადიოს შესახებ არაფერი დაბეჭდილა.

ხშირი საყვედური გაზეთის ფურცლებზე, განსაკუთრებით საკოლმეურნეო რადიოკვანძების ცუდი მომსახურების შესახებ უმთავრესად ეიხსნება საკოლმეურნეო რადიო კვანძებზე მოუშავე რადიოსპეციალისტთა მომზადების დაბალი დონით. ცხადია, რომ სათანადო ლიტერატურის არსებობა მშობლიურ ენაზე განსაკუთრებით სოფლად მომუშავე რადიოსპეციალისტების მომზადების დონის ამაღლებასა და მშრომელთა უკეთ მომსახურების საქმეში დიდ დახმარებას გაუწევდა.

ამჟამად თბილისში არსებობს ორი ტექნიკუმი, რომლებიც რადიოტექნიკოსებს ამზადებენ: თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ტექნიკუმი და სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს თბილისის რადიოტექნიკური ტექნიკუმი. ორივე ტექნიკუმის ქართული სექტორების მოსწავლეებს, რომლებიც ათამდე რადიოსპეციალურ საგანს გადიან, მშობლიურ ენაზე არც ერთ საგანში სახელმძღვანელო არ გააჩნიათ.

საჭიროა ორივე ტექნიკუმის დირექციებმა, კავშირგაბმულობის რწმენებულის სამმართველომ და გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ იზრუნონ ქართულ ენაზე ტექნიკუმების რადიოტექნიკის სახელმძღვანელოების, რადიოტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე და განსაკუთრებით სოფლის რადიოფიკაციაზე მასობრივ-პოპულარული ბროშურების გამოცემისათვის.

ინჟინერი ბ. ინჯია.

უყურადღებოდ მიჯოვებული საღგური

გორი-სტალინირის რკინიგზის ხაზზე მდებარეობს სადგური შინდისი. იგი კეთილმოეწყობელია. მოსაცდელ დარბაზში გამეფებულია ანტისანიტარია. დარბაზი ხშირად გაუნათებელიც არის. მოეწყობელია ბაქანი, რის გამო მგზავრებს მატარებელში ასვლა უძნელდებათ. სადგურში არ არის საგაზეთო ვიტრინები.

ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ.

ი. ბლიაძე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კაპიტალისტურ ბანაკში წინააღმდეგობათა გამწვავების შესახებ

ამას წინათ გამოვიდა ი. ტალაღუას წიგნი „წინააღმდეგობათა გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“. ეს წიგნი საყურადღებო ნაშრომია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით.

წიგნი შედგება ხუთი თავისაგან. მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს ნედლეულის წყაროებისათვის, გასაღების ბაზრებისათვის და კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლის გაშუქებას. ავტორი სამართლიანად ამახვილებს მკითხველთა ყურადღებას ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობებზე, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია.

საკითხის განხილვას ავტორი მეორე მსოფლიო ომის შედეგების ანალიზით იწყებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალიზმის ბანაკის ზრდასა და განმტკიცებას. საკმაო ადგილი უჭირავს აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდის ასახვას. ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სიძლიერეს, ბანაკისა, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

პარალელურად ნაჩვენებია კაპიტალისტური სისტემის ლპობა. მდიდარ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ავტორი ახასიათებს მეორე მსოფლიო ომის ეკონომიურსა და პოლიტიკურ შედეგებს, გვიჩვენებს მშრომელთა მასების გაღატაკებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

შრომაში ნაჩვენებია მზარდი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. ნაჩვენებია აგრეთვე ამერიკელი იმპერიალისტების რეაქციული ხროკები, მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის“ უბადაღებული კანონის საფუძველზე, რომელიც 1951 წლის 10 ოქტომბერს მიიღო შეერთებული შტატების კონგრესმა. მკითხველის ყურადღებას იპყრობს ამერიკა-ინგლისის ბლოკში წინააღმდეგობათა გაღრმავების ანალიზი, აგებული მდიდარ ფაქტიურ მონაცემებზე.

ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ უთხრიან ძირს ამერიკის შეერთებული შტატები სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას, თვით ინგლისისა და საფრანგეთისასაც, თუ როგორ აძევებენ მათს გავლენას „ისტორიული“ სფეროებიდან, ხელს უშლიან მათს საგარეო ვაჭრობას.

წიგნში კარგად არის ნაჩვენები კონკურენციის ზრდა კაპიტალისტურ ბაზარზე დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის გამოსვლით. ამ ქვეყნების ზურგს უკან დგანან ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც იყენებენ მათ „ძველი“ კაპიტალისტური ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და სხვ. გავლენის სფეროებში შეჭრისათვის. ავტორი წერს: „1947 წელს დასავლეთ გერმანიას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კაპიტალის გატანაში ეკავა 26-ე ადგილი, 1952 წელს მან დაიკავა მე-5 ადგილი და მისმა კაპიტალდაბანდებამ უცხოეთში მიაღწია 6 მილიარდ მარკას“ (გვ. 92).

გვიჩვენებს რა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მზარდ წინააღმდეგობათა ნათელ სურათს, ავტორი კარგად ასაბუთებს ი. ბ. სტალინის ცნობილ თეზისს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ.

კარგად არის ნაჩვენები აგრეთვე ომის შემდეგ მსოფლიოს გაყოფა ორ ბანაკად და ორი პარალელური მსოფლიო ბაზრის შექმნა. იმპერიალისტური აგრესიის, შაგბნელი რეაქციის ბანაკს ავტორი მკვეთრად უპირისპირებს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ბანაკს.

დასასრულ ი. ტალაღუა მოგვითხრობს სსრ კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ცნობილი მითითებებიდან ორი საწინააღმდეგო საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მთელი პროგრესული კაცობრიობის სიყვარულითა და ნდობით სარგებლობს. იგი წარმოადგენს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ, ურყევ დასაყრდენს, უჩვენებს ყველა ქვეყნის მშრომელთა ნათელი მომავლის გზას.

წიგნი დაწერილია კარგი ლიტერატურული ენით, რაც უთუოდ ხელს უწყობს მის წარმატებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ნაშრომის ზოგიერთი ნაკლიც.

მე-13 გვერდზე ავტორი წერს: „ომის შემდეგ დასუსტდა ინგლისიც, რამაც ხელი შეუწყო ბრიტანეთის იმპერიის ძლიერების დაცემის პროცესის დაწყებას,“ მაგრამ ცნობილია, რომ ბრიტანეთის იმპერიის ძლიერების დაცემის პროცესი უფრო ადრე დაიწყო, — პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

დაზუსტებას მოითხოვს შემდეგი ადგილიც. 58-ე გვერდზე ავტორი წერს: „1952 წლის 27 მაისს პარიზში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“. მას ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა“. რამდენადაც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მონაწილეობას არ იღებენ ამ გაერთიანებაში. მათ საფრანგეთთან ერთად (1952 წ. 27 მაისს), ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლითაც იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ევროპის თავდაცვითი გაერთიანების მთლიანობა.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული ხარვეზებისა, ი. ტალაღუას წიგნი „წინააღმდეგობათა გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“ უდავოდ დადებითი შეფასების ღირსია. მკითხველები მასში იპოვნიან ძალზე ბევრ საინტერესო მასალას, პასუხს მრავალ კითხვაზე.

ნ. კიკვაძე,
ლ. ალექსიძე.

ვიეტნამელი ხალხის დღესასწაული

წელს ვიეტნამელი ხალხი პირველად დღესასწაულობს თავისი რესპუბლიკის გამოცხადების წლისთავს მშვიდობიან პირობებში. ერთ საუკუნემდე გრძელდებოდა მისი გმირული შეიარაღებული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ 1945 წელს, როდესაც ანტიჰიტლერულმა კოალიციამ საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა მეოხებით გაანადგურა გერმანიის ფაშიზმი, ხოლო შემდეგ იაპონიის მილიტარიზმიც, მხოლოდ მაშინ დამთავრდა გამარჯვებით ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა. 1945 წლის 19 აგვისტოს წარმატებით განხორციელებული სახალხო აჯანყების (აგვისტოს რევოლუცია) შედეგად ვიეტნამში ძალაუფლება ხელში აიღო ეროვნული განთავისუფლების კომიტეტმა ვიეტნამელი ხალხის აღიარებული ბელადის ხო ში მინის მეთაურობით. 2 სექტემბერს ხო ში მინმა დროებითი მთავრობის სახელით გამოაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რომლის მეცხრე წლისთავს ახლა აღნიშნავს არა მარტო ვიეტნამელი ხალხი, არამედ მშვიდობისა და პროგრესის ყველა მეგობარიც.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა დადგა დამოუკიდებელი განვითარებისა და თავისი ხალხის ინტერესებისათვის ყოველმხრივი ზრუნვის გზას. მთავრობამ გამოაქვეყნა კანონები, რომლებიც უქმნიან ხალხს დემოკრატიულ თავისუფლებათა გარანტიას, და შეუდგა მასების დარაზმვას ეკონომიკის პროგრესისა და კულტურული მშენებლობისათვის საბრძოლველად. საგარეო პოლიტიკის დარგში ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნათლად განსაზღვრა თავისი პრინციპები: გამარჯვებამდე მიიყვანოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კოლონიზატორთა წინააღმდეგ; განვითაროს ყველა ხალხთან თანამშრომლობის ურთიერთობა თანასწორობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე; ყველა ხალხთან ერთად იბრძოლოს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

ვიეტნამელმა ხალხმა აქტიურად დაუჭირა მხარი თავისი მთავრობის პოლიტიკას. ამის მკაფიო დადასტურება იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების პირველი დემოკრატიული არჩევნები, რაც 1946 წლის იანვარში მოხდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90 პროცენტმა; არჩევნებში მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ბლოკის კანდიდატებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიან ეროვნულ ფრონტში.

ვიეტნამელი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ეროვნული კრების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება, რომელმაც განუმტკიცა ხალხს მოპოვებული დემოკრატიული თავისუფლებანი და უზრუნველყო მისთვის შრომის, დასვენების, განათლების უფლება.

თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელ ხალხს სურდა მეგობრულად და მშვიდობიანად ეცხოვრა ყველა ხალხთან. მაგრამ მის წინააღმდეგ დაწყებულმა საფრანგეთის ჯარების ინტერვენციამ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, კვლავ აიძულა ვიეტნამელი ხალხი იარაღი აეღო ხელში, რათა დაეცვა თავისი სამშობლო.

ბრძოლა გაჩაღდა არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც, ვიეტნამის ტროპიკულ ტყეებში უაღრესად ძნელ პირობებში აშენდა მეტალურგიული, ქიმიური, საფეიქრო, ფარმაცევტული და სხვა საწარმოები. ვიეტნამის გმირი სახალხო არმია იღებდა ვიეტნამურ იარაღს, საომარ მასალებს, საჭურველსა და სურსათს. მთელ ვიეტნამში გაჩაღებულმა პატრიოტულმა მოძრაობამ პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის საშუალება მისცა საწარმოებს ყოველწლიურად გაიდიდებინათ წარმოება 15-20 პროცენტით. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა მუშების ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის აღფრთოვანებდა მათ შრომითი გმირობისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ რეფორმის განხორციელებას ლოზუნგით „მიწა— მიწის მუშას“. სახალხო მთავრობამ მიწის მშრომელებს გადასცა 250 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. საიჯარო გადასახადი შემცირებულ იქნა 25-30 პროცენტით, შემცირდა სესხის პროცენტი. სახელმწიფო დახმარებას უწევს გლეხებს სესხით, სასუქებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით და სხვ.

ომის სიძნელეების მიუხედავად მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავდა კულტურული მშენებლობისათვის. ყველა განთავისუფლებულ რაიონში შემოღებულ იქნა საყოველთაო დაწყებითი სწავლება სახელმწიფოს ხარჯზე, რამაც შესაძლებელი გახადა მოკლე დროში ძირითადად მოსპობილიყო წერა-კითხვის უცოდინარობა. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობაც ახლო წარსულში თითქმის მთლიანად წერა კითხვის უცოდინარი იყო, გაიხსნა 4 ათასამდე დაწყებითი და საშუალო სკოლა, უნივერსიტეტი და ინსტიტუტები, ბევრი გამოდის გაზეთები, წიგნები და ჟურნალები. ეროვნულმა უმცირესობებმა ვიეტნამის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მიიღეს შესაძლებლობა ისწავლონ თავიანთ დედაენაზე.

სახალხო მთავრობა დიდად ზრუნავს მშრომელთა ჯანმრთელობისათვის. ვიეტნამში მომზადებულ იქნა ათასობით სამედიცინო მუშაკი, შეიქმნა საავადმყოფოების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების ქსელი.

ვიეტნამელი ხალხის წარმატებანი რესპუბლიკის მშენებლობასა და განმტკიცებაში მოპოვებულ იქნა გაფფრებული ბრძოლით უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ — საფრანგეთის კოლონიური ჯარებისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ინდოჩინეთის ომში განსაკუთრებით გაძლიერდა იმ პერიოდში, როცა ჩინელმა ხალხმა, გაიმარჯვა რა თავის ქვეყანაში საგარეო და საშინაო რეაქციაზე, გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ინტერვენტების მიერ ოკუპირებულ ვიეტნამის ნაწილში უკვე 1950 წელს ჩავიდა ამერიკის მრავალრიცხოვანი სამხედრო მისია, რომელსაც შემდეგ მიჰყვა ათასგვარ „მრჩეველთა“, „ინსტრუქტორთა“ და სხვადასხვა „სპეციალისტთა“ დაუსრულებელი ნაკადი. ამერიკული იარაღის მიწოდება საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსისათვის წლითიწლობით მატულობდა. ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა ინდოჩინეთის აგრესიულ ომში კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც კორეაში ამერიკის სამხედრო ავანტიურა ჩაიფუშა. ვიეტნამში საომარი მოქმედების სტრატეგიული ხელმძღვანელობა თანდათანობით გადადიოდა ამერიკის სამხედრო ხროვის ხელში, რომელმაც გაადიდა ვიეტნამის ფრონტებზე თვითმფრინავთა და მფრინავთა გადაყვანა საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობისათვის.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა ვიეტნამელი ხალხის მისწრაფება გამარჯვებისადმი. ვიეტნამის გმირი სახალხო არმიისა და პარტიზანული რაზმების დარტყმების ძალა ყოველთვიურად ძლიერდებოდა. ახალგაზრდა რესპუბლიკის ყველა წარმატების საფუძველი იყო ხალხის ერთიანობა — მუშებისა და გლეხების ურღვევი კავშირი მუშათა კლასის მეთაურობით, რომელსაც მხარს უჭერს მოსახლეობის ყველა პატრიოტული ფენა. ეროვნული ერთიანი ფრონტის გაშენმო, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტია, გაერთიანდა ვიეტნამის ყველა დემოკრატიული პარტია და ორგანიზაცია. საომარი მოქმედების პერიოდის კულმინაციური პუნქტი იყო ბრძოლა დიენ-ბიენ ფუსათვის, რომელმაც საბოლოოდ ცხადყო თავისუფლებისმოყვარე და მამაცი ვიეტნამელი ხალხის დამორჩილების გეგმების განწირულობა. ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებმა ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ იქ, სადაც კოლონიურ ჩაგვრაში მყოფი ხალხთა მასები აღსდგებიან თავიანთი ეროვნული უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად, ჩვენს დროში შეუძლებელია განვითარების ჩარხის უკუღმა დატრიალება.

ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რომელსაც მხურვალედ უჭერენ მხარს მთელი დედამიწის ხალხები, თავისი შედეგები გამოიღო. ჟენევის თათბირზე მიღწეული შეთანხმებანი მოასწავებენ ინდოჩინეთის ხალხთა და პირველ რიგში ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის [illegible] მატებას. ისინი [illegible] — ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას [illegible] შორისო აღმოსავლეთ [illegible] [illegible] მა ვიეტნამელ ხალხს მისცეს შესაძლებლობანი ვიეტნამის ეკონომიური და კულტურული განვითარებისა მშვიდობიან პირობებში. ამასთან ერთად, თავისუფალი არჩევნები, რაც უნდა მოხდეს ვიეტნამში 1956 წლის ივლისში, შექმნის პირობებს ვიეტნამის ეროვნული გაერთიანებისათვის მთელი ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ ინტერესთა და მისწრაფებათა შესაბამისად, ჟენევის შეთანხმებით ვიეტნამში წესდება დროებითი სადემარკაციო ხაზი, რომელიც გადის მე-17 პარალელის ცოტა სამხრეთით. ამ ხაზის ჩრდილოეთით გაყვანილ იქნებიან ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარები, ხოლო სამხრეთით — საფრანგეთის კავშირის ჯარები. საყოველთაო არჩევნების მოწყობამდე სამოქალაქო ადმინისტრაციას გადაჯგუფების თვითეულ ზონაში უზრუნველყოფს ის მხარე, რომლის შეიარაღებული ძალებიც გადაყვანილ უნდა იქნან იქ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. ვიეტნამის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს დროებითი სადემარკაციო ხაზის ჩრდილოეთით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობას შეგნებული აქვს, რომ ჟენევის გადაწყვეტილებანი მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა დიდი სიფხიზლე, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებს არ დაანებონ ამ გადაწყვეტილებათა ჩაშლა, საჭიროა მხილებულ და აღკვეთილ იქნას შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის გამჩაღებელთა ზრახვები.

ვიეტნამელი ხალხი ენთუზიაზმით შეუდგა შემოქმედებითს მუშაობას მშვიდობიან პირობებში. მის წინაშე მდგომი ამოცანები მოკლედ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა პრეზიდენტმა ხო ში მინმა: „ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ აღდგენას და მშენებლობას, ჩვენი ძალების განმტკიცებას და განვითარებას ყველა დარგში, რათა განვახორციელოთ ჩვენი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სოციალური რეფორმების განხორციელებას ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და წამყვანი დემოკრატიის განხორციელებისათვის. ჩვენ განვამტკიცებთ დიდ მეგობრობას ვიეტნამსა, საბჭოთა კავშირსა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა მეგობრულ ქვეყნებს შორის. ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს სოლიდარობას ფრანგ ხალხთან, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხებთან მშვიდობის შესანარჩუნებლად“.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლამ უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

მთელ რესპუბლიკაში მრავლდება შრომითი გმირობის მაგალითები. ქალაქ ნამ-დინის მცხოვრებლებმა დღენახევარში აღადგინეს დანგრეული ელექტროსადგური, მაშინ როცა ამ სამუშაოსათვის გათვალისწინებული იყო თვეზე მეტი დრო. ბევრი რაიონის მოსახლეობამ უკვე დაიწყო სახალხო მეურნეობისათვის ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება. გლეხები ამუშავებენ მიწებს, რომლებიც მიტოვებული იყო ომის დროს.

დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვიეტნამელ ხალხს უსურვებს ახალ წარმატებებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში და დემოკრატიული წყობილების განმტკიცების საქმეში. საბჭოთა ხალხს სურვილები გამოხატულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დეპეშაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის ხო ში მინისადმი: „საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა მიესალმებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს და მის მთავრობას და უსურვებენ მათ ვიეტნამის რაც შეიძლება მალე აღდგენას და წარმატებებს მშვიდობიან ვითარებაში მისი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საქმეში“.

ბოგრ. რიაბოვი,
ივ. კრავჩენკოვი.

ალკოჰოლიზმი წარსულის მავნე გადმონაშთია

ალკოჰოლი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საშიში მხარეა ადამიანის ორგანიზმისათვის. სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება მრავალი ავადმყოფობის, მათ შორის ძძიმე განუკურნებელი ავადმყოფობის მიზეზია.

ალკოჰოლი ადამიანის ცხოვრებაში შევიდა ყალბი სახით, როგორც მანუგეშებელი მწუხარებისა და ტანჯვის დროს, როგორც საშუალება, რომელიც ხელს უწყობს სიხარულსა და მხიარულებას. ნამდვილად კი, როგორც დიდი რუსი მეცნიერი ი. პ. პავლოვი ამბობდა, ალკოჰოლს მთელი კაცობრიობისათვის გაცილებით მეტი მწუხარება მოაქვს, ვიდრე სიხარული.

კაპიტალისტური წყობილების პირობებში ალკოჰოლიზმის გავრცელება ნამდვილი სოციალური უბედურება ხდება. ძძიმე, მომქანცველი შრომა, ლატაკური არსებობა აიძულებდა და აიძულებს მშრომელებს მიმართონ სპირტიან სასმელებს, რათა თუნდაც რითმე შეალამაზონ თავიანთი ცხოვრება ანდა უბრალოდ დავიწყებას მიეცნენ. თვით ბურჟუაზიული მთავრობებიც დაინტერესებული არიან მშრომელთა თრობით.

მაგალითად, რევოლუციამდელ რუსეთში მეფის მთავრობამ ეგრეთწოდებული „ღვინის სახაზინო მონოპოლიის“ საშუალებით ფართოდ განავითარა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, ათრობდა მშრომელებს და ამასთან უდიდეს შემოსავალს იღებდა. სხვადასხვა ფორმის ლოთობა გავრცელებული იყო რუსეთის მქონებელთა კლასებში, რომლებმაც არ იცოდნენ სად წაეღოთ უდიდესი მოგება.

მრავალი ათეული წლის მანძილზე ებრძოდა მავნე ტრადიციები და ჩვეულებანი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ადამიანი უზომოდ თვრებოდა პირადი ან საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მოვლენის გამო, სიხარულის ან მწუხარების გამო. დაიხადება ბავშვი და ეგრეთწოდებულ „ნათლობას“ მოჰყვება ღვინის სმა. მოკვდება კაცი და დასაფლავების შემდეგ საჭიროა მიცვალებულის მოხსენიება — კვლავ ღვინის სმა. ქორწილს აუცილებლად თან ახლდა ლოთობა. სვამდნენ წარმატების დროს, ხოლო მარცხს ღვინოში „ახრჩობდნენ“.

ლოთობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია სხვადასხვა ამორალური საქციელი, ხულიგნობა, ჩხუბი, დეზოში, ლანძღვა-გინება. ძველ ხალხს კარგად ახსოვს, რა სასტიკი ჩხუბით თავდებოდა წარსულში რელიგიური დღესასწაულები, განსაკუთრებით სოფლად ეგრეთწოდებული „საეკლესიო დღესასწაულები.“ სამწუხაროდ, ეს სულელური და მავნე ჩვეულები დარჩენილია ზოგან ამჟამადაც. მაგალითად, ლენინგრადის ოლქის ნოვაია ლადოგის რაიონის სოფელ რეზროვოში რელიგიური დღესასწაულის გამო სეირნობის თუ უბრალოდ ლოთობის დროს გაჩნდა ჩხუბი, რომლის დროსაც ორი კაცი მოკლეს.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ალკოჰოლიზმის განვითარებას ნიადაგი არ აქვს. ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება, მშრომელთა შეგნების ზრდა ძირს უთხრის ალკოჰოლიზმს. მაგრამ ალკოჰოლიზმი — წარსულის ეს მავნე ნაშთი, ჯერ კიდევ ცოცხლობს საბჭოთა ადამიანებშიც. მის წინააღმდეგ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა არის უწინარეს ყოვლისა ბრძოლა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის. ალკოჰოლიზმი დამანგრეველად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და განსაკუთრებით მავნე გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე. უმაღლესი ნერვული სისტემის დარღვევის შედეგად მთვრალ ადამიანს შეუძლია დაკარგოს ზომიერებისა და ტაქტის გრძნობა. ამას, რასაც ფხიზელი არასოდეს არ გააკეთებს, მთვრალი ადვილად გააკეთებს. თვითკონტროლის შესუსტების შედეგად ადამიანს მთვრალ მდგომარეობაში შეუძლია ბევრი ზედმეტის თქმა, მინდობილი საიდუმლოების გამჟღავნება. ტყუილად ხომ არ ამბობენ, „რაც ფხიზელს გონებაში აქვს, ის მთვრალს ენაზე მოადგებაო“.

აი იმის ზოგიერთი მაგალითი, თუ რას იწვევს თვითკონტროლის დაკარგვა ალკოჰოლის ზემოქმედებით.

მოქალაქე ვ-მ მთვრალმა ჩხუბი ატეხა ლენინგრადის ოლქის ტოსნოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „რინდოლეევის“ საერთო საცხოვრებელში. იგი არ დაკმაყოფილდა ამით, სკანდალი ატეხა კლუბში, აციკვლებოდა მოსამსახურეებს და უცენზურად იგინებოდა. საერთო საცხოვრებელში მან გადმოაბრუნა მაგიდა, დაამტვრია ჭურჭელი, გატეხა კარი. სახალხო სასამართლომ ხულიგანს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვ. მანამდე სოციალისტური საერთო ცხოვრების არავითარ წესებს არ არღვევდა და მხოლოდ ალკოჰოლის ზეგავლენით გახდა ხულიგანი.

განსაკუთრებით საშიშია, როცა სპირტიან სასმელებს ეტანებიან ტრანსპორტის მძღოლები. როგორც წესი, ეს იწვევს ავარიებსა და უბედურ შემთხვევებს. აი ერთი ასეთი მაგალითი. 1954 წლის 16 ივლისს ლენინგრადში პეტრეს სანაპიროზე ავარია მოუვიდა სატვირთო მანქანას, რომელიც ეკუთვნოდა ლენინგრადის წყალსადენის მექანიზაციის კანტორას. მანქანას მართავდა შოფერი ლ., რომელიც მთვრალი იყო. მან მოსახვევში დიდი სისწრაფე განავითარა, დროზე ვერ დაამუხრუჭა მანქანა, დააჯახა კედელს და გადააბრუნა. ოთხი მგზავრიდან ერთი მოკვდა და სამი მძიმედ დაშავდა.

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება, სადაც შრომა ღირსების, მამაცობისა და გმირობის საქმეა, სადაც მშრომელები დაუცხრომლად იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ვერ შეურიგდება ამას, რომ ჩამორჩენილი ელემენტები ალკოჰოლის გავლენით არღვევენ შრომის დისციპლინას, აცდენენ სამუშაოს და ამით დიდ ზარალს აყენებენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ალკოჰოლიზმი მკვეთრად ამცირებს შრომისუნარიანობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალკოჰოლის ზეგავლენით უარესდება გონებრივი შრომის უნარი. ძნელია მთვრალ მდგომარეობაში რაიმე დაიზეპირო და დაიხსომო. მნიშვნელოვნად მცირდება ფიზიკური შრომის უნარიც. ალკოჰოლის ზეგავლენით ირღვევა შეთანხმებული მოძრაობა, ესე იგი მისი კოორდინაცია, რაც საჭიროა ყოველგვარი მუშაობის დროს და განსაკუთრებით ზუსტი მუშაობის დროს. მცირე რაოდენობით დალეული ღვინოც კი მნიშვნელოვნად ამცირებს სწრაფის სიზუსტეს. მკერავისათვის ჩვეული მუშაობა—ნემსში ძაფის გაყრა ძნელდება დალეული ღვინის გავლენით.

არსებობს მცდარი აზრი, რომ ალკოჰოლი თითქოს აადვილებს კუნთების მუშაობას. სინამდვილეში, ალკოჰოლის მიღების შემდეგ დგება მხოლოდ მოკლე პერიოდი, როცა ადამიანი ფიზიკური შრომის შესრულებისას ერთგვარ შემსუბუქებას გრძნობს. მაგრამ ეს პერიოდი ძალიან ხანმოკლეა, შემდეგ კი იწყება შრომის უნარის პროგრესიული შემცირება.

ალკოჰოლი მავნე გავლენას ახდენს შინაგან ორგანოებზე—გულზე, სისხლძარღვებზე, ღვიძლზე, თირკმელებზე და სხვ. იმ პირთ, რომლებიც ბევრს სვამენ სპირტიან სასმელებს, უმცირდებათ ორგანიზმის წინააღმდეგობა ავადმყოფობის ზეგავლენისადმი

ხალხინ-გოლთან საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარების გამარჯვების მე-15 წლისთავის აღსანიშნავად

ულან-ბატორი, 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ზაისან-ტოლგოის გორაკზე გაიმართა ჰიტინგი, რომელიც მიეძღვნა მდინარე ხალხინ-გოლთან მონღოლი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლის საძირკვლის ჩაყრას. ძეგლის აგების ადგილას მოვიდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

გორაკის მწვერვალზე დადგმულია მარმარილოს ფილა. ამ ფილაზე ამოკვეთილია სიტყვები: „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით აქ დაიდგმება ძეგლი საბჭოთა არმიის მეომრებისა, რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლებში ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. 1954 წლის 30 აგვისტო“.

მიტინგი გახსნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. დამბამ. სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ი. ცედენბალმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ულან-ბატორის ჩოიბალსანის სახელობის სამრეწველო კომბინატის მუშა ქალმა სოსორბარამმ და პარტიზანმა ჯადამბამ.

საღამოს სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატულ თეატრში გაიმართა პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური არმიის სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში იპრნელ დამპყრობლებზე საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარების ისტორიული გამარჯვების მე-15 წლისთავს.

ბულგარეთის განთავისუფლების დღის აღსანიშნავად

სოფია, 31 აგვისტო. (საკდესი). ბულგარელი ხალხი დიდი აღმავლობით ეგებება ბულგარეთის განთავისუფლების 10 წლისთავს.

დიმიტროვგრადის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დღესასწაულის აღსანიშნავად და დიდ საწარმოო წარპატებებს მიაღწიეს. ი. ბ. სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა რვა თვის გეგმა, სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა აზოტოვანი სასუქი და დაზოგა 2.600 ათასი ლევი. განთავისუფლების დღის აღსანიშნავად ცემენტის ქარხანა „ვულკანის“ მუშებმა 20 აგვისტოს ვადაზე 4 თვითა და 10 დღით აღრე შეასრულეს წლიური გეგმა ყველა. მაჩვენებლის მიხედვით. ქალაქ გაბროვოს 22 საწარმოს 7 ათასზე მეტმა ფუშამ ვადამდე შეასრულა თვიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 53 ათასი კილოგრამი მატყლისა და ბამბის ნართი, 340 ათასი მეტრი შალის, სელისა და ბამბის ქსოვილები და 20 ათასზე მეტი ტრიკოტაჟის საცვლები. ვ. კოლაროვის სახელობის საქსოვმა ფაბრიკამ აგვისტოში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 30 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილები.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი არ დაესწრება მანილის თათბირს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის საკითხზე „იმ სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გამო, რომლებიც წამოიჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“.

ინგლისის დელეგაციას მანილის თათბირზე სათავეში ჩაუდგება საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი რედინგი.

გომინდანელებთან აგრესიული კავშირის დადგის ამერიკული გეგმები

პეკინი, 31 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საააგენტო გადმოგვცემს:

29 აგვისტოს ვაშინგტონიდან ტოკიოს გავლით ტაივანზე დაბრუნდა შეერთებული შტატების „ელჩი“ ტაივანზე კარლ რენკინი, რათა დაჩქაროს იმ გეგმების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის შორის განხრახული აგრესიული სამხედრო პაქტის დადებასთან. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, რენკინმა ტაივანზე ჩასვლისას აშკარად განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის შორის მოლაპარაკებაში „თავდაცვის ორმხრივი პაქტის“ დადების შესახებ „ახალი ფაზა დაიწყო“.

რენკინმა აგრეთვე განაცხადა, რომ ტოკიოში ყოფნისას მას რამდენიმე საუბარი ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ჰელთან, იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ალისონთან, სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ბრიგსთან და იაპონიაში ჩანკაიშელ „ელჩ“ ჰოლინგტონ ტონგთან ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიული ბლოკის შექმნის შესახებ, რომელშიც შევლენ იაპონია, სამხრეთი კორეა და ტაივანი.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რენკინი აგრეთვე დახმარებას გაუწევს ტაივანზე დალესის ჩამოსვლისათვის მზადებას მანილაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის კონფერენციის შემდეგ. ცნობილი გახდა, რომ ტაივანზე ჩასვლისას დალესი ჩან კაი-შის ხროვასთან ერთად განიხილავს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩან კაი-შის შორის აგრესიული სამხედრო პაქტის დადებისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიული ბლოკის შექმნის გეგმებს.

მშრომელთა დემოკრატიული უფლებების დასაცავად

მაქს რაიმანის ინტერვიუ

ბერლინი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში „ფრეიიეს ფოლკში“ გამოქვეყნებულია გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მაქს რაიმანის ინტერვიუ ამ გაზეთის რედაქციის წარმომადგენლისადმი. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელ პატრიოტთა დევნისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა დაპატიმრების გაძლიერების მიზეზთა შესახებ შეკითხვის საპასუხოდ რაიმანმა თქვა:

მილიტარიზაციის პოლიტიკა, რომელსაც ადენაუერი ახორციელებს, სულ უფრო მეტად ექცევა ჩიხში. ამ პოლიტიკის შედეგად მრეწველობამ ბოლო დროს მოიგვა 150 მილიარდი მარკა, და მათი მოგება განუწყვეტლივ იზრდება. ამავე დროს მშრომელი მოსახლეობა გაპირვების განიცდის.

ამიტომ მილიონობით მუშა-მოსამსახურე მოითხოვს ხელფასის გადიდებას, და ასეულ ათასობით მუშამ გაფიცვას მიმართა, რათა მიაღწიოს თავისი სამართლიანი მოთხოვნის — ხელფასის გადიდების განხორციელებას. გმირულად იბრძვიან ბავარიელი მელითონენები და ცდილობენ მიაღწიონ ამ მოთხოვნის განხორციელებას. ხელფასის გადიდებას მოითხოვენ აგრეთვე საზოგადოებრივი საწარძოების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის მუშა-მოსამსახურეები და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის მელითონენები და მაღაროელები. გერმანიის კომუნისტური პარტია მტკიცედ უჭერს მხარს მუშა-მოსამსახურეთა ბრძოლას.

სწორედ ეს არის გერმანიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა დაპატიმრების მიზეზი. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მეტ ნაწილს კარგად აქვს შეგნებული, რომ ადენაუერის მთავრობისა და მისი მომხრე პარტიების პოლიტიკა შეუძლებელს ხდის გერმანიის გაერთიანებას. ამ პოლიტიკის შესაბამისად დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას უარი ეთქვა სუვერენიტეტზე, და დასავლეთი გერმანია ამერიკის პროტექტორატი ხდება.

გერმანიის კომუნისტური პარტია დასავლეთ გერმანიაში ერთადერთი პარტიაა, რომელიც გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამით ნათელ გამოსავალს უჩვენებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას. გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრები მტკიცედ უდგანან სათავეში დიდ ეროვნულ ბრძოლას გერმანელთა შეთანხმებისათვის, დემოკრატიულ საფუძველზე ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. კომუნისტების დაპატიმრებით ადენაუერს სურს მოუსპოს მოსახლეობას ხელმძღვანელობა მის ბრძოლაში.

გერმანიის ისტორიაში ყოველთვის ასე იყო. როცა მონოპოლისტები, მილიტარისტები და რევანშისტები ომს ამზადებდნენ სხვა ხალხთა წინააღმდეგ, ხალხის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს უზურპაციას უშვრებოდნენ და სპობდნენ. ამასვე აკეთებს ახლა ადენაუერის მთავრობა.

ადენაუერის იუსტიციისა და პოლიციის ტერორი მარტო კომუნისტური პარტიის მოღვაწეების წინააღმდეგ როდია მიმართული. თვითნებობის ობიექტს წარმოადგენს ყველა, ვინც არ ეთანხმება ადენაუერის პოლიტიკას. უტევენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატებს, პროფკავშირულ მოღვაწეებსა და ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს. ადენაუერი და მილიტარისტები ვარაუდობენ, რომ გერმანელ პატრიოტთა დევნითა და დაპატიმრებით ისინი დააშინებენ მოსახლეობას და შეანელებენ მის ბრძოლას. მაგრამ ადენაუერს ეს ვარაუდი არ გამართლდება. ტერორი თავისუფლებისათვის მებრძოლთა და პატრიოტთა წინააღმდეგ ადენაუერის მთავრობის სისუსტის გამოხატულებაა. მოსახლეობა კი სულ უფრო მრისხანედ მოითხოვს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკის შეცვლას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელთა შეთანხმებას გერმანიის გაერთიანებლად მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში.

იაპონიის ხელისუფალნი დევნიან იაპონიაში მცხოვრებ კორეელებს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება

ფხენიანი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობა ავიწროებს იაპონიაში მცხოვრებ კორეელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ იაპონიის მთავრობამ იაპონიაში მცხოვრებ კორეელებს არა მარტო მოუსპო შესაძლებლობა იბრძოლონ სამშობლოს თავისუფლების, გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის, ლისინმანელთა მარიონეტული ხროვის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე განახორციელა მთელი რიგი უკანონო აქტები — არცნო მათი უფლება იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი და თავს მოახვია მარიონეტული „კორეის სახელმწიფოს“ ქვეშევრდომობა, ასახლებს მათ იაპონიიდან, უკანონოდ აპატიმრებს, ახდენს მათი ქონების კონფისკაციას და სხვ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ დროს იაპონიის ხელისუფალთა თვითნებობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

განცხადებაში მოყვანილია იაპონიის მთავრობის უკანონო მოქმედების მრავალი ფაქტი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იაპონიის მთავრობის მოქმედება იაპონიაში მცხოვრებ კორეელთა მიმართ მიაჩნია იმ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უხეშ დარღვევად, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლით უცხოელთა მიმართ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, ნათქვამია განცხადებაში, იაპონიაში მცხოვრებ კორეელთა სამართლიანი უფლებების დაცვას, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, ზარალის ანაზღაურებას, აგრეთვე მოითხოვს ღონისძიებათა მიღებას მომავალში ამგვარი მოქმედების თავიდან ასაცილებლად.

„ხელი უნდა შევუშალოთ დასავლეთ გერმანიის ყოველგვარი სახის რემილიტარიზაციას“

პარიზის პრესა ეროვნულ კრებაში კენჭისყრის შედეგების შესახებ

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს იმას, რომ ეროვნულმა კრებამ უარყო პარიზის სამხედრო ხელშეკრულება.

გაზეთი „ფიგარო“ წერს, რომ ეროვნულმა კრებამ გუშინ დაასამარა ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“.

იტალიიდან და დასავლეთ გერმანიიდან მიღებულ კორესპონდენციებში „ფიგარო“ აღნიშნავს, რომ ეროვნული კრების კენჭისყრის შედეგებმა გამოიწვია „შეშფოთება რომში“ და „გაცბუნება ბონში, სადაც ლონდონისა და ვაშინგტონის ახალ დემარშებს მოელიან“.

გაზეთმა გამოაქვეყნა მოკლე განცხადება, რომელიც გუშინ მენდეს-ფრანსმა ბურბონთა სასახლის კულუარებში გააკეთა კენჭისყრის შემდეგ. „საფრანგეთის მთავრობა, — თქვა მან, — გაუნუზრელად და უთუოდ იცავს თავის მომხრეობას ატლანტიკის კავშირისადმი, რომელიც ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება მისი პრინციპი“.

გაზეთი „კომბა“, კმაყოფილებას გამოთქვამს რა „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების უარყოფის გამო, წერს: „საფრანგეთმა უარყო ევროპის თავდაცვითი გაერთიანება. სიძნელეები, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებას აწუხებდა, აღმოფხვრილია. საშინელი ევროპის თავდაცვითი გაერთიანება დაიღუპა.

როგორც გაზეთი „ეკო“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, პარიზის ხელშეკრულების უარყოფა იმას ნიშნავს, რომ „სცენაზე გაქრა პრობლემა, რომელიც თითქმის ოთხ წელიწადს ახდენდა გავლენას საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე“. „იბადება კითხვა, — წერს გაზეთი, — რით შეიცვლება ეს პრობლემა და როგორ მოწესრიგდება ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც იმის შედეგია, რომ საფრანგეთმა ხელშეკრულება უარყო“.

გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“ გუშინდელ კენჭისყრას უწოდებს „განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას“, რომელსაც „სერიოზული შედეგები“ მოჰყვება.

„მენდეს-ფრანსმა, — განაგრძობს გაზეთი, — გააფრთხილა ეროვნული კრება: ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი უახლოეს ხანში მოითხოვენ გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენას. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის პარლამენტს მალე წინადადებას მისცემენ დაამტკიცოს ბონის ხელშეკრულება, რომლებიც წინასწარ გამორიცხავენ ყოველივე იმას, რაც მას აკავშირებს პარიზის ხელშეკრულებასთან ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“...

გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების უარყოფით „ისპობა დაბრკოლებანი ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების გზაზე. ამიერიდან მთავრობის ამოცანა ის არის, რომ მიჰყვეს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების გზას, რასაც ხალხები მოითხოვენ“.

გაზეთი „ლუმანიტე“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ევროპის არმიის“ ხელშეკრულების უარყოფა „ფრანგი ხალხის დიდი გამარჯვებაა, მშვიდობის საქმის გამარჯვებაა“.

„ახლა, განაგრძობს გაზეთი, როცა უარყოფილია ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, საჭიროა ხელი შევუშალოთ დასავლეთ გერმანიის ყოველგვარი სახის რემილიტარიზაციას. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ევროპაში უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა და საბოლოოდ მოწესრიგდეს გერმანიის პრობლემა დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით“.

გაზეთები, რომლებიც „ევროპის არმიის“ მომხრეთა შეხედულებებს გამოხატავენ, გაბრაზებით წერენ კენჭისყრის შედეგებზე, ცდილობენ რა დაამცირონ მათი მნიშვნელობა.

ოლენჰაუერის განცხადება

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბონიდან გადმოგვცემს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ოლენჰაუერმა, როცა შეიტყო, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის არმიის“ შესახებ, დაუყოვნებლივ გამოთქვა აზრი იმის სასარგებლოდ, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს ახალი თათბირი ევროპის უშიშროებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხებზე. ოლენჰაუერმა განაცხადა, რომ აღარ უნდა სცადონ ააღორძინონ „რაიმე ფორმით“ ევროპის არმიის შექმნის გეგმა. ევროპის თავდაცვითი გაერთიანება მკვდარია, — თქვა მან, — და მასთან ერთად დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერის საგარეო პოლიტიკაც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ გაერთიანებას ემყარებოდა. ახლა ხელშეკრულების ხელმომწერმა ყველა ქვეყანამ უნდა დაიწყოს სხვა პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც ოლენჰაუერი „ნამდვილ ევროპულ“ პოლიტიკას უწოდებს.

საბჭოთა კავშირის დახმარება ინდოეთის წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობისადმი

როგორც პრესა იუწყებოდა, ინდოეთში, ასამის, ბიხარისა და დასავლეთ ბენგალიის შტატებში დიდი წყალდიდობა მოხდა. დაზარალდა ბევრი მოსახლე, დიდ სივრცეებზე მოსპობილია ნათესები, წყალდიდობამ დაანგრია ათეულათასობით სახლი.

28 აგვისტოს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა ინახულა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პილაი და საბჭოთა მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა წყალდიდობით გამოწვეული უბედურებისათვის, რაც ინდოეთის ზოგიერთი შტატის მოსახლეობას ეწია, აგრეთვე აცნობა, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა გადაწყვიტა პრემიერ-მინისტრის ფონდში შეტანილ 100 ათასი ინდური რუპია წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

მოსახლეობის დასახმარებლად აღნიშნული თანხის გაგზავნასთან ერთად სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ა. მიტერევამ ინდოეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარეს ქ-ნ რაჯკუმარი ამრიტ კაურს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც საბჭოთა წითელი ჯვრის სახელით გამოუცხადა თანაგრძნობა იმ უბედურების გამო, რომელიც ინდოეთის ზოგიერთი შტატის მოსახლეობას ეწია.

პილაიმ ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით მ. ა. მენშიკოვს გულწრფელი მადლობა გადაუხადა როგორც საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმული თანაგრძნობისათვის, ისე სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის დახმარებისათვის. (საკდესი).

საფრანგეთის საზოგადოებრიობა მიესალმება საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). მთელი ფრანგი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა იმას, რომ ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ („ევროპის არმიის“) შექმნის შესახებ. საფრანგეთის საზოგადოებრიობას პარლამენტის ეს გადაწყვეტილება მიაჩნია პატრიოტთა, მშვიდობის მოძმრეთა, საზოგადო, პროფკავშირულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოქმედების შედეგად, რომლებიც ილაშქრებდნენ „ევროპის თავდაცვის გაერთიანებაში“ საფრანგეთის შეყვანის წინააღმდეგ.

„ევროპის არმიის“ შექმნის ხელშეკრულების უარყოფა საფრანგეთის საზოგადოებრიობას მიაჩნია იმის ახალ შესაძლებლობად, რომ დაიწყოს დაინტერესებული სახელმწიფოების ჭოლაპარაკება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისა და სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

საზოგადო მოღვაწეთა და ჟურნალისტთა ჯგუფმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია, რომ „გერმანიის შეიარაღება, რა სახითაც უნდა იყოს, მრავალი წლით შეუშლიდა ხელს გერმანიის გაერთიანებას და ევროპის დაშოშმინებას, აგრეთვე ჩააბამდა საფრანგეთს კოალიციაში, რომელშიც, როგორც ეს ბრიუსელში იყო, იგი იზოლირებული აღმოჩნდებოდა და უცხოელთა ბატონობაში მოექცეოდა“.

მოწოდებაში შემდეგ ნათქვამია: „ვერაფერი, ვერავითარი მარჯვე დიპლომატიური მანეერი ვერ გაამართლებდა ამგვარ რისკსა და თავგანწირულებას. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მოლაპარაკებით გერმანიის პრობლემისა და სრულიად ევროპის ხელშეკრულების შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ საფრანგეთის პარლამენტისა და მთავრობისაგან განახორციელონ ეს უმაღლესი მშვიდობისმოყვარული ღონისძიება“.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიიდან გარიცხეს ჟიულ მოკი, მაქს ლეჟენი და დანიელ მეიერი

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება გარიცხოს პარტიიდან ჟიულ მოკი, მაქს ლეჟენი და დანიელ მეიერი იმის გამო, რომ მათ გაილაშქრეს „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ.

გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია მოსახლეობის საკითხებზე

რომი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს რომში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია მოსახლეობის საკითხებზე. კონფერენცია მოიწვია გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციამ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 70 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

ამერიკელ მეზღვაურთა უნესობა თურქეთში

სტამბოლი, 31 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „დუნიას“ სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ შტატკებები მოხდა იზმირის მოსახლეობასა და იზმირის ნავსადგურში მყოფი ამერიკის გემების მეზღვაურთა შორის. შეტაკებები გამოწვეულია ამერიკელთა უწესობით.

ხანძარი იაპონიის გემზე

შანხაი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, გუშინ მურორანის ნავსადგურში დიდი ხანძარი გაუჩნდა გემს „ნიპონმარუ-28“, რომელიც დატვირთული იყო გაზოლინითა და სხვა საქონლით. გემი ექვსი საათის განმავლობაში იწვოდა. ხარალი, რომელიც ხანძარმა მიაყენა გემსა და ტვირთს, 100 მილიონ იენს აღწევს.

ფეხბურთი

ვარშავა—თბილისი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გრწყინვალე გაბარჯვება

გუშინ 1 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ვარშავის (პოლონეთი) ნაკრებ გუნდსა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივს შორის.

სტადიონი საზეიმოდ არის მორთული. სამხრეთის კოშკზე ფრიალებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშები. აღმოსავლეთის ტრიბუნებს ამშვენებს წითელი ტრანსპარანტები, რომლებზეც რუსულ, პოლონურ და ქართულ ენებზე წარწერილია პოლონელი სტუმრებისადმი გულთბილი მისალმების სიტყვები.

საღამოს 5 საათი და 30 წუთია. მრავალრიცხოვანი მაყურებელი მხურვალე ტაშით ეგებება პოლონელი და ქართველი ფეხბურთელების გამოჩენას სტადიონის მწვანე მინდორზე. რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო სიტყვით გამოდის პოლონეთის სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელი მ. პოდგურსკი. ორკესტრი ასრულებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს. სტუმრებს მასპინძლებმა მიართვეს ცოცხალ ყვავილთა თაიგულები.

მცირედი საწვრთნელი ვარჯიში და იწყება შეჯიბრება. ვარშავის სპორტულ ღირსებას იცავენ: რ. ვირობეკი, ი. ვალჩაკი, ე. ორლოვსკი, ხ. ჩიხონი, ჩ. სუშჩიკი, რ. გეივიჩი, ვ. სონშადეკი, კ. ტრამპიში, გ. ცეზლაკი, ლ. ბრიხცი და ლ. ეზერსკი. დინამოელთა შემადგენლობაში არიან: ვ. მარღანია, ვ. ელოშვილი, ჯ. რუსაძე, ი. სარჯველაძე, რ. მახარაძე, გ. ანთაძე, ა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ბ. ხასაია, ა. ღოღობერიძე, ბ. კოვერზნევი.

შეხვედრა პირველ წუთებიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო, მეტოქეები ცდილობენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას. უკვე მესამე წუთზე თამაშში ებმება სტუმრების მეკარე, რომელიც ადვილად იგერიებს გაგნიძის მიერ დარტყმულ ბურთს. დინამოელები აძლიერებენ თამაშის ტემპს. ისინი ძალიან ხშირად უტევენ „მოწინააღმდეგეთა“ კარს და ჭქმნიან სახიფათო მომენტებს. მაგრამ ბევრი მშვენივრად დაწყებული კომბინაცია არაზუსტი დარტყმების გამო შედეგს არ აღწევს. ბტკიცედ იცავს კარს მეკარე ვირობეკი, რომელიც თავისი საზრიანი თამაშით იმსახურებს მაყურებელთა მხურვალე მოწონებას.

მოუხედავად თბილისელთა უპირატესობისა სტუმრები მაინც ახერხებენ სახიფათო მომენტების შექმნას თბილისელთა კართან, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევენ.

ანგარიში გაიხსნა თამაშის 37-ე წუთზე. ხასაია გაუსხლტა სტუმრების დაცვას, სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ბურთი ჩააწოდა კარის გასწვრივ. ღოღობერიძის ძლიერი დარტყმა და ბურთი გაეხვია „მოწინააღმდეგეთა“ ბადეში.

თამაშის მაღალი ტემპი არ ნელდება. მასპინძლები, პირველი წარმატებით აღფრთოვანებულნი, კვლავ უტევენ. ენერგიულად თამაშობს თავდასხმის მარცხენა ფრთა, სადაც ღოღობერიძესთან ერთად გამოირჩევა კოვერზნევიც. მას კვალდაკვალ დასდევენ დამცველები, მაგრამ სწრაფი კოვერზნევი ახერხებს გარღვევაზე გასვლას, უკან იტოვებს რამდენიმე დამცველს და ადიდებს ანგარიშს.

ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოთ მთავრდება თამაშის პირველი ნახევარი.

თამაშის მეორე ნახევარში სტუმრები გამოეიდნენ შეცვლილი შემადგენლობით. ორლოვსკის (№ 3) ნაცვლად თამაშობს რ. კორნეტი, ხოლო ეზერსკის (№ 11) მაგიერ — ე. მორდავსკი.

თამაშის მეორე ნახევრის პირველმა 10-15 წუთმა ბევრი მღელვარება მოუტანა მაყურებელთ. რვა წუთის მანძილზე სტუმრებმა ორივე ბურთი გაქვითეს. ეს მოხდა იმიტომ, რომ თბილისელებმა თამაში შედარებით მოდუნებულად დაიწყეს, მაშინ, როცა სტუმრებმა ახალი შევსებით მეტად სწრაფი იერიშები განავითარეს. მეხუთე წუთზე კარის ზევითა ძელიდან დაბრუნებული ბურთი ლამაზი თავური გარტყმით ცეზლაკმა თბილისელთა კარის ბადეში მოაქცია. არ გასულა რვა წუთი და ტრამპიშს გაეკვს მეორე ბურთი.

თამაშში თანდათანობით მძაფრდება. ორივე გუნდი ცდილობს ანგარიშის შეცვლას. ამას ახერხებენ თბილისელები: მესამე ბურთი გაეკვს დინამოელთა კაპიტანს ღოღობერიძეს. ამის შემდეგ ინიციატივა მეტწილად თბილისელთა ხელშია. თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით აღრე კოვერზნევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე ვირობეკმა, მაგრამ მოუსწრო ხასაიამ და ძნელი მდგომარეობიდან ბურთი პოლონელთა კარის ბადეში გაახვია.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ვარშავის ნაკრებსა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა შორის დამთავრდა თბილისელთა დამსახურებული გამარჯვებით 4:2.

მიუხედავად დამარცხებისა პოლონელმა ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი ოსტატურად ფლობენ ბურთს. სწრაფი თავდასხმელები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ცეზლაკი, ამყოფებენ საუკეთესო ტექნიკურ მომზადებას და კარგად იყენებენ სულ მცირე შესაძლებლობასაც კი იერიშისათვის.

თბილისის დინამოელებმა ამ გამარჯვებით დაადასტურეს, რომ მათ აქვთ ყველა შესაძლებლობა იყვნენ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა წამყვანი კოლექტივების რიგებში, თუ კი ითამაშებენ კოლექტიურად და გამარჯვებისადმი ისეთი მტკიცე მისწრაფებით, რაც მათ ამ შეჯიბრებაში გვიჩვენეს.

მეტად დაძაბულ, სპორტულად საინტერესო ამ შეხვედრას კარგად სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. ტაკოვი (ბულგარეთი).

პოლონეთის და საქართველოს ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც ჩატარდა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში, ხელს შეუწყობს პოლონეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას.

სურათებზე: ზევით — თბილისის დინამოელები ყვავილების თაიგულებს მიუძღვნიან პოლონელ ფეხბურთელებს; ქვევით — სახიფათო მომენტი ვარშავის ფეხბურთელთა კართან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.